Затем желательно провести подбор кандидатов, т.е. следующий тур – на уровне континентов, а в конце уже провести финал Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук.

Исходя из чрезвычайной актуальности и принципиальной значимости рассмотренных выше проблем, считаю необходимым еще раз подчеркнуть, что практическая реализация предлагаемых мной путей и механизмов преодоления проблем научного творчества является необходимым условием эффективного функционирования общества, государства и человечества в целом.

Таким образом, господствующий во всем мире прагматизм вовсе не оправдывает отказ от научного творческого в области общественных наук, а даже наоборот, ибо, *говоря словами Леонардо да Винчи*, «Теория – полководец, практика – солдаты» [12, с. 53].

Следовательно, с учетом особой важности стимулирования создания новых научных направлений и новых научных теорий вообще, и, *в частности*, в области общественных наук, а также с учетом значимости *практической реализации уже созданных, но пока еще не реализуемых*, теоретических основ эффективного функционирования общества, государства и человечества в целом, *считаю необходимым и*

неотложным проведение предложенного мной выше Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук.

Тем более, что *сама идея проведения Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук, по моему глубокому убеждению, является всемирно значимым научным открытием, которая по своей принципиальной значимости ценнее многих других всемирно значимых открытий.*

Притом, данное открытие является всемирно значимым научным открытием в области создания научных основ эффективного политического менеджмента науки вообще, *и, в частности, в области создания научных основ максимально эффективного политического менеджмента общественных наук.*

Вместе с тем, создание научных основ эффективного политического менеджмента науки *подразумевает не непосредственное политическое управление наукой, а создание со стороны государственных властей, с одной стороны, максимально возможных – оптимальных – условий для свободного научного творчества, и, с другой стороны, обеспечение максимально благоприятных условий для соответствующей оценки всемирно значимых результатов истинно творческой деятельности ученых.*

Без практической реализации предложенных мной революционных путей и механизмов преодоления проблем научного творчества, *и, в частности, без их внедрения в жизнь – без проведения Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук, по моему глубокому убеждению, реальный духовный и социально-экономический прогресс общества, государства и человечества в целом не представляется возможным.*

* * *

В связи с предложенной мной принципиально новой идеей и обоснованием необходимости проведения Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук, в соответствии с созданными мной же механизмами проведения этого Чемпионата, *считаю необходимым обратить здесь же внимание на то, что творчески мыслящие личности, а также те, кто не «болен» эгоизмом, кто думает об интересах Человека, об интересах общества, государства и человечества, в отличие от тех, кто думает лишь о том, чтобы на фоне истинных ученых самому не выглядеть «серым», явно и безоговорочно поддерживают и приветствуют идею проведения Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук.*

Вместе с тем, некоторым скептикам может показаться невозможным проведение Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук, что лишено всякого основания, ибо, несмотря на определенные сложности в организации проведения отмеченного Чемпионата, ничего невозможного в этом нет.

Более того, организация проведения Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук даже намного легче, чем проведение чемпионатов мира по многим видам спорта.

Кроме того, некоторые представители сферы науки могут сказать (*и, видимо, говорят*), что будто бы чемпионаты можно проводить только в спорте.

Однако, такая позиция может быть вызвана лишь слабостью этих представителей сферы науки и боязнью перед тем, чтобы их «серость» в сфере науки (*и, видимо, не только в сфере науки*) не стало известно широкому кругу людей, которым они кажутся «учеными».

Вместе с тем, *как известно*, Чемпионат – это официальное соревнование на звание чемпиона [13].

Что касается особенности использования термина Чемпионат, то «Данный термин используется преимущественно по отношению к спортивным состязаниям, однако, наравне с этим, он применяется и к другим соревнованиям» [13], *например*, «для выявления победителя в интеллектуальном конкурсе» [13] и т.д.

Таким образом, предложенный мной Чемпионат мира по научному творчеству в области общественных наук – это фактически принципиально новый вид интеллектуального соревнования (*интеллектуальной состязательности, интеллектуального конкурса*), результаты которого могут быть *и, безусловно*, будут намного весомее и значимее любого чемпионата мира в том или ином виде спорта, ибо они (*результаты Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук*) не только обрадуют самих чемпионов и их болельщиков – *как это бывает в спорте*, но, *наряду с этим*, дадут огромный социально-экономический эффект планетарного значения, ибо станут теоретической (*интеллектуальной*) основой эффективного функционирования общества, государства и человечества!!!

Считаю необходимым здесь же обратить внимание на то, что в современном мире уже начали проводить чемпионаты мира в науке.

В частности, например, Международная академия наук и высшего образования (МАНВО; Лондон, Великобритания) проводит «Чемпионат Мира по научной аналитике по различным отраслям науки и в рамках абсолютного первенства в перспективе будет проводиться МАНВО в трех основных формах: а) индивидуальное первенство; б) межуниверситетское первенство; в) первенство сборных, формируемых национальными федерациями по научной аналитике» [14].

Следовательно, вышеотмеченный и многие другие примеры еще раз подтверждают абсолютную необоснованность позиции тех представителей сферы науки, которые, видимо, сами не способны создать что-либо действительно ценное в науке и не могут участвовать в Чемпионате мира по научному творчеству в области общественных наук, и которые, скорее всего, именно потому говорят, что будто бы чемпионаты мира можно проводить только в спорте.

* * *

«Невозможно не обратить здесь внимание также на то, что, – *как я отмечал и ранее*, – в последнее время стало как бы своеобразной «модой» проведение представителями сферы науки презентаций изданных ими новых книг, что можно было бы только приветствовать, если бы в них было, хотя бы что-то авторское – принципиально новое.

Однако, *к сожалению*, нередко, такие презентации проводят именно те представители сферы науки, которым нечего сказать в науке (?!).

В связи с вышеотмеченным возникает вопрос:

Не является ли насмешкой над наукой и над истинными учеными – *творцами революционно новых всемирно значимых научных идей*, когда некоторые

представители сферы науки проводят презентации своих новых книг, в которых нет ничего авторского – принципиально нового?!

И не напоминает ли это – широко известное выражение из басни И.А. Крылова «Кукушка и Петух», которое гласит: «Кукушка хвалит петуха за то, что хвалит он кукушку»?!

Кроме того, не является ли опять-таки насмешкой над наукой и над истинными учеными – *творцами революционно новых научных идей*, когда проводят Юбилей «ученых» (*как живых, так и мертвых*) – притом именно будто бы как Юбилей «ученых», тогда как невозможно вспомнить что-либо ценное – всемирно значимое из их будто бы «научных» трудов, ибо эти так называемые «ученые» так и не создали ничего принципиально нового в науке?!

Удивительно, но, *к сожалению, факт (!?)*.

Диву даешься, когда будто бы «солидные» представители сферы науки (*но, видимо, «солидные» лишь по возрасту, и по имеющимся у них ученым степеням и званиям*) хвалят авторов книг, в которых научную новизну автора и микроскопом не найдете (!!).

Не менее удивительно также, когда те же (*или такие же*) будто бы «солидные» представители сферы науки называют «большими учеными» живых и мертвых «юбиляров», тогда как эти «юбиляры» ничего ценного – действительно научного – так и не создали в науке (!!).

Ведь не подлежит сомнению, что с точки зрения порядочности, человечности и интересов Человека – интересов народа – все это позорно и даже явно криминально (!!).

Поэтому, надо незамедлительно кончать с серостью в науке, а также с безответственной поддержкой этой серости, как с подрывной деятельностью, направленной против интересов человека, против интересов народа, против интересов государства и человечества (!!).

Следовательно, принципиальную важность приобретает проведение Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук, ибо проведение этого Чемпионата (чемпионатов), не только наглядно покажет – кто есть кто в общественных науках в мире, но и станет необходимой предпосылкой предотвращения глобальных кризисов и эффективного государственного управления в интересах народа, станет необходимой предпосылкой эффективного функционирования общества, государства и человечества в интересах каждого Человека!!! [3, с. 14-15].

* * *

В заключение, считаю необходимым отметить следующее:

Необходимость проведения Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук, я считаю принципиально важным и абсолютно безальтернативным!!!

Вместе с тем, невозможно не учесть тот факт – ту реальность, что вряд ли ныне найдется представитель сферы науки в мире (а, точнее, уверен, что никак не найдется), который сможет составить мне конкуренцию в борьбе за звание Чемпиона мира по научному творчеству в области общественных наук, ибо я очень сомневаюсь, чтобы в мире нашлся бы еще ученый, который был бы создателем (автором) принципиально новых всемирно значимых научных идей – принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий и т.д. в области общественных наук вообще, и, в частности, одновременно в области философских, политических, экономических и юридических наук, а также в области науки государственного управления.

Поэтому, считаю возможным, чтобы в начале неотложно подготовить и провести хотя бы Чемпионат мира по научному творчеству в области науки государственного управления – Чемпионат мира по научному творчеству в области науки Политического менеджмента, тем более, что Политический менеджмент – как наука государственного управления, в определенных аспектах включает в себя все научные дисциплины сферы общественных наук.

Хотя, параллельно с этим, для стимулирования творческого развития общественных наук в интересах Человека, в интересах общества, государства и человечества, необходимо решить проблему и начинать готовиться к проведению Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук!!!

ЛИТЕРАТУРА

1. Кураташвили Альфред А. Глубинные проблемы общественных наук в свете мирового экономического кризиса начала XXI века. *Актуальные проблемы общественных наук. Материалы Международной научной конференции* (21-22.12.2009). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009.

2. Кураташвили Альфред А. **Философско-политэкономические миниатюры.** Материалы Республиканской научной конференции: “Актуальные проблемы теории” (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: “Мецниереба”, 1980.

3. Кураташвили Альфред А. **Еще раз о необходимости проведения Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук.** Международная Академия социально-экономических наук. Международный научный журнал "Прогресс", 2014, №1-2. Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2014. – с. 5-16.

4. Кураташвили Альфред А. **Некоторые размышления по проблемам социально-экономической науки.** Материалы научной конференции: «Наука и общество» (13-14 декабря 1984 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1984.

5. Журнал «ЭКО» Сибирского отделения АН СССР, 1983, №11.

6. **Философский энциклопедический словарь.** М.: «Сов. Энциклопедия», 1983.

7. Робев Стефан. **Цена открытия.** Журнал «ЭКО» Сибирского отделения АН СССР, 1983, № 10.

8. **Слово о науке: Афоризмы. Изречения.** Литературные цитаты. Книга вторая. Сост., автор предисловия и введений к главам Е.С. Лихтенштейн. М.: «Знание», 1981.

9. Кураташвили Альфред А. **Революционные пути и механизмы преодоления проблем научного творчества.** *Актуальные проблемы научного творчества. Материалы Международной научной конференции* (11-12.03.2009). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2009.

10. Кураташвили Альфред А. **Критерий эффективности научных исследований.** Материалы Республиканской научной конференций (12-13 апреля 1979 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1979.

11. Кураташвили Альфред А. **Проблемы научного творчества** (Размышления по кардинальным проблемам творческого развития общественных наук). Материалы научной конференции: «Наука и общество» (13-14 декабря 1984 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1984.

12. См. Голованов Я. К. **Этюды об ученых.** 3-е издание, дополненное. Москва: «Молодая гвардия», 1983.

13. **Чемпионат.**

<http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A7%D0%B5%D0%BC%D0%BF%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%B0%D1%82>

14. **Чемпионат мира.** <http://gisap.eu/ru/node/8755>

შპს 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი საჯარო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**დოქტორების მომზადების
მწვავე პოლიტიკურ-სამართლებრივი
და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა
საზოგადოებრივ
მეცნიერებათა სფეროში**

**ვინ შეიძლება იყოს დოქტორანტების
სამეცნიერო ხელმძღვანელი?!**

მეცნიერებაში, და, *კერძოდ*, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში დოქტორების მომზადებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, მეტად მწვავე პოლიტიკურ-სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს დოქტორების მომზადება საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში, რამეთუ ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელებად ჭეშმარიტ მეცნიერთა შერჩევისა, დოქტორანტებს “კამფეტებივით” უნაწილებენ – ურიგებენ – პროფესორებს და ასოცირებულ პროფესორებს, მაშინ როდესაც აღნიშნული პროფესორები – დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები – უმეტეს შემთხვევაში თვითონ არ არიან ჭეშმარიტი მეცნიერები (!!).

ასევე, მეტად პრობლემატურია სადისერტაციო საბჭოების თავმჯდომარეთა და წევრთა შერჩევა, რომლებიც ჭეშმარიტი მეცნიერები უნდა იყვნენ, მაგრამ... (!!).

გარდა ამისა, პრობლემატურია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია – პროგრამებისა, რომლებიც არცთუ იშვიათად ინკუბატორის “წიწილებივით” ჰგავს ერთმანეთს, ნაცვლად იმისა, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები მათ ხელმძღვანელთა შემოქმედებითი სამეცნიერო იდეების საფუძველზე იყოს კონსტრუირებული.

თუმცა, სადისერტაციო საბჭოები ბევრია, ხოლო ჭეშმარიტი მეცნიერი – “სანთლით” საძებარია.

* * *

ზემოაღნიშნულ მწვავე პოლიტიკურ-სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემასთან დაკავშირებით ვთავაზობთ ჩემს მიერ აღრე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ძირითად შინაარსს [1], რომლის საფუძველზეც – პრობლემის აქტუალობის გათვალისწინებით – გამოქვეყნებული იქნა აგრეთვე ჩემი სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი [2].

* * *

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას პრინციპული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ აკრედიტაციის გარეშე მეცნიერების სფეროში დოქტორების მომზადება და მათთვის აკადემიური თუ სამეცნიერო ხარისხების მინიჭება კანონით დაუშვებელია, ხოლო სამეცნიერო კადრების მომზადების გარეშე მეცნიერების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარება წარმოუდგენელია.

ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკრედიტაციის გონივრული და სამართლიანი კრიტერიუმების არსებობა, რომლებიც არ შეზღუდავს მეცნიერულ შემოქმედებას, რამეთუ, როგორც მე არაერთხელ აღმინიშნავს: “მეცნიერება ჩარჩოში – ეს იგივეა, რაც ადამიანი კუბოში”.

უფრო მეტიც, შემოქმედების (*ხოლო ჭეშმარიტი მეცნიერება – უდავოდ შემოქმედებაა*) შეზღუდვა ანტიკონსტიტუციურ ქმედებას წარმოადგენს, რამეთუ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის თანახმად:

“1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია” [3].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 37-ე მუხლის (აკადემიური პერსონალის უფლებები) პირველი პუნქტის შესაბამისად აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

“ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;” [4].

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ზოგიერთი თანამდებობის პირი და ეგრეთ წოდებული “ექსპერტი” ყოველნაირად ცდილობს შეზღუდოს ჭეშმარიტი მეცნიერის თავისუფლება, რითაც მას თავისი თავი ფაქტობრივად კანონზე მაღლა წარმოუდგენია, და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის კანონსაწინააღმდეგო და სრულიად უაზრო მოთხოვნებს აყენებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, უსიტყვოდ ემორჩილებიან მონური ბუნების და/ან დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანები.

აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო და სამარცხვინო ქმედებების აღკვეთა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ამასთან დაკავშირებით უპირველესად ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ გარკვეული თანამდებობის პირების მხრიდან აკრედიტაციისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ ანტიმეცნიერული, სრულიად უსაფუძვლო, სამართლებრივად დაუსაბუთებელი და უაზრო

მასალების წარდგენის მოთხოვნა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რაც სახელმწიფოს მხრიდან უმკაცრეს რეაგირებას საჭიროებს.

არანაკლებ საყურადღებოა აგრეთვე, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამართლებრივად დაუსაბუთებელი და უაზრო მასალების წარდგენა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიღების მიზნით იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის შემქმნელები და წარმდგენები ან მონები არიან, რომლებიც უსიტყვოდ ემორჩილებიან კანონსაწინააღმდეგო მოთხოვნებს, რათა ხელფასი არ დაკარგონ, ან უვიცები არიან და თვითონაც არ იციან რას აკეთებენ, ანდა ერთდროულად მონებიც არიან და უვიცებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ისინი მეცნიერები არ არიან, რამეთუ პიროვნული დამოუკიდებლობისა და შინაგანი თავისუფლების გარეშე მეცნიერი არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და საერთოდაც, ცხადზე ცხადია, რომ მონებს და/ან, *რბილად რომ ეთქვათ*, არამეცნიერებს უარი უნდა ეთქვათ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციაზე.

მაშასადამე, უნდა გაირკვეს პასუხი კითხვაზე: ვინ შეიძლება იყოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი, ანუ რა უნდა იყოს აკრედიტაციის მიღების კრიტერიუმი და ვის ეკუთვნის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია?!

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს არა მეცნიერის მსგავსი ადამიანი, არამედ მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერი, რამეთუ, როგორც მე არაერთხელ აღვნიშნავდი:

“ისევე, როგორც ადამიანის მსგავსი მაიმუნი – ადამიანი არ არის, მეცნიერის მსგავსი ადამიანი – მეცნიერი არ არის” [5, გვ. 54].

ამასთანავე, აქ ასევე ისმის კითხვა: ვინ არის ჭეშმარიტი მეცნიერი?

ჭეშმარიტი მეცნიერი, *ჩემი ღრმა რწმენით*, იმით კი არ უნდა განსხვავდებოდეს ფსევდომეცნიერისაგან, რომ მას მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი აქვს, ანუ იმის ცნობა აქვს, რომ ის არის მეცნიერი, არამედ ის უნდა განსხვავდებოდეს და გამოირჩეოდეს მკვეთრად გამოხატული შემოქმედებითი აზროვნებით და შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგებით – ახალი მეცნიერული მიმართულებების, ახალი მეცნიერული თეორიების შექმნით და ა.შ., რის მაგალითსაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში წარმოადგენდა დიმიტრი უზნაძე, რომელმაც განწყობის თეორია შექმნა [6, გვ. 40].

თუმცა “იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ „მეცნიერს“ მხოლოდ ცნობა აქვს მეცნიერებათა დოქტორის დიპლომის სახით – იმის “დასადასტურებლად”, რომ თითქოს ის არის მეცნიერი, რაც იმ აშკარს წააგავს – ერთმა „მამაკაცმა“ ქალის სარჩელის პასუხად სასამართლოში ცნობა რომ

წარადგინა „კაცი ვარო“ (?!), მაგრამ სინამდვილეში კაცი რომ არ იყო (?!)” [6, გვ 40-41].

“ამრიგად, ჭეშმარიტი მეცნიერი (მიუხედავად მისი დიპლომებისა და მის მიერ დაწერილი და გამოქვეყნებული შრომების რაოდენობისა) არის მხოლოდ ის, ვისთან ერთადაც მისი სამეცნიერო ნაშრომები, მისი მეცნიერული იდეები არ კვდებიან, და არა ის, ვინც თუთიყუშივით იმეორებს სხვების აზრებს (თუმცა, შესაძლოა, სხვადასხვა სიტყვებით)” [6, გვ 40-41].

აღსანიშნავია, რომ, როგორც მე *ჯერ კიდევ 1984 წელს ვწერდი*: “ვისაც არა აქვს თავისი საკუთარი, მეცნიერებისა და საზოგადოების პროგრესის ხელის შემწყობი იდეები – მას არაფერი ესაქმება მეცნიერებაში” [7, გვ. 12].

მაშასადამე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერი – მეცნიერებაში ახალი მეცნიერული მიმართულებების, ახალი მეცნიერული თეორიების შემქმნელი [8, გვ. 16], და არა მეცნიერების სფეროში შემძვრალი ყურმოჭრილი მონა, ჩალიჩი და უგონო თუთიყუში, რაც, *მეტი რომ აღარაფერი ვთქვათ*, სამარცხვინოა.

ღიას, არა მარტო დანაშაულია, არამედ სწორედ სამარცხვინოა, რომ ჭეშმარიტ მეცნიერს ხელოვნურ და კანონსაწინააღმდეგო დაბრკოლებებს უქმნიდნენ სრულიად არაკომპეტენტური ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც მეცნიერებასთან ახლოსაც კი ვერ მივლენ, ხოლო მეცნიერების სფეროში მოკალათებული პრიმიტიული ყურმოჭრილი მონები და არამეცნიერები, ანუ საქმის ჩაწყობის “ოსტატები” – ჩალიჩები და უგონო თუთიყუშები სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას ღებულობდნენ (?!).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ლოგიკურად გამოდინარეობს, რომ აკრედიტაციის მთავარი და განმსაზღვრელი კრიტერიუმი უნდა იყოს – სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელის ჭეშმარიტად მეცნიერული დონე, რომელმაც თვითონ უნდა განსაზღვროს, თუ როგორ მოამზადოს დოქტორანტები მის მიერვე შექმნილი სადოქტორო პროგრამის შესაბამისად, ანუ იმ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც შაბლონურ ჩარჩოში კი არ უნდა იყოს მოქცეული, არამედ ჭეშმარიტი მეცნიერის ინტელექტუალურ საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს!!!

ამრიგად, მხოლოდ ჭეშმარიტ მეცნიერთან, ანუ მხოლოდ იქ, სადაც არის ჭეშმარიტი მეცნიერი, უნდა იქმნებოდეს და მისი ხელმძღვანელობით უნდა ფუნქციონირებდეს სადისერტაციო საბჭო (დოქტორანტურა), და მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერი უნდა იყოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი, ანუ აკრედიტაციის მიღებისათვის განმსაზღვრელი კრიტერიუმი უნდა იყოს არა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (რომელიც შესაძლოა სხვებსაც დააწერინონ) და მისი შინაარსი, არამედ ის, რომ ამ პროგრამის ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს

თავმჯდომარე და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი!!!

ამასთან, ცხადზე ცხადია, რომ დოქტორის აკადემიური (ან თუნდაც დოქტორის სამეცნიერო) ხარისხის ფლობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ამ ხარისხის ყველა მფლობელი არის ჭეშმარიტი მეცნიერი.*

* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა საქართველოს კანონმდებლობით მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხთან.

ამრიგად, მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის გათანაბრება დოქტორის აკადემიურ ხარისხთან სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხიც გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან, ანუ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან, რაც უდავო აბსურდი იქნებოდა.

და კიდევ, მეცნიერების სფეროს იმ წარმომადგენლებს, ვისაც მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის ფლობის „დამადასტურებელი“ დიპლომის გარდა არავითარი არგუმენტი და მტკიცებულება არ გააჩნიათ, რომ ისინი ჭეშმარიტი მეცნიერები არიან, სრულიად უსაფუძვლოდ ჰგონიათ, რომ თითქოს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დოქტორის აკადემიური ხარისხი – მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი არ არის, მაშინ როდესაც დოქტორის აკადემიური ხარისხი – ეს არის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, მაგრამ ეს არ არის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერებათა კანდიდატი ან მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი – ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და/ან ახალი მეცნიერული თეორიების შემქმნელი, ხოლო მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მრავალი მფლობელი შეიძლება ჭეშმარიტი მეცნიერი არ იყოს (?!).

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებათა კანდიდატები, და აგრეთვე მათი ტოლფასი – მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელები, საერთოდ არიან არა მეცნიერები, არამედ ისინი არიან მხოლოდ მეცნიერებათა კანდიდატები, ე.ი. ისინი არიან მხოლოდ კანდიდატები, რომლებიც მომავალში შეიძლება გახდნენ ან ვერ გახდნენ მეცნიერები – ჭეშმარიტი მეცნიერები.

ამასთან ერთად, ის იშვიათი გამონაკლისი მეცნიერებათა კანდიდატები, და აგრეთვე მათი ტოლფასი – მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელები, რომლებსაც შექმნილი აქვთ ახალი მეცნიერული მიმართულებები ან/და ახალი მეცნიერული თეორიები და ა.შ., უნდა ჩაითვალოს ჭეშმარიტ მეცნიერებად, და მხოლოდ ასეთ მეცნიერებათა კანდიდატებს და ასეთ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელ პირებს უნდა მიეცეთ უფლება, რომ შექმნან და უხელმძღვანელონ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს, და რომ სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს.

უფრო მეტიც, გასათვალისწინებელია აგრეთვე ის უდავო ფაქტი, რომ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მფლობელთაგან ჭეშმარიტი მეცნიერები – *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებების ან/და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიების შემქმნელები* – ალბათ რეალურად არიან მხოლოდ 10%-ზე ნაკლები, თუმცა, შესაძლოა, 1%-ზე ნაკლებიც კი (?!).

ამიტომ, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მფლობელთაგან მხოლოდ ამ იშვიათი გამონაკლისს – *ჭეშმარიტ მეცნიერებს* – უნდა მიეცეთ უფლება, რომ შექმნან და უხელმძღვანელონ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს, და მხოლოდ მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ, როგორც მე ადრეც არაერთხელ აღვნიშნავდი, მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის) მქონე პირებს შორის არიან:

1. ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი, ანუ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე პრინციპულად ახალი იდეების – ახალი მეცნიერული მიმართულებების, ახალი მეცნიერული თეორიების და ა. შ. – ავტორები, ე.ი. ის პიროვნებები, რომლებიც იმსახურებენ რომ იყვნენ და მხოლოდ ისინი უნდა იყვნენ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო საბჭოების თავმჯდომარეები და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები;

2. მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს მ უ შ ა კ ე ბ ი (მუშაკები მეცნიერებაში), ანუ არა ჭეშმარიტი მეცნიერები, არამედ დამხმარე მუშაკები მეცნიერებაში, რომლებიც არ არიან საერთაშორისო დონის ახალი მეცნიერული იდეების ავტორები, მაგრამ თავისი პატიოსანი შრომით ხელს უწყობენ როგორც ჭეშმარიტ მეცნიერთა მოღვაწეობას, ისე სტუდენტთა აღზრდას, და რომლებიც (იმ პირობებში, როდესაც ჭეშმარიტი მეცნიერი, გულწრფელად თუ ვიტყვით, სანთლით საძებარია) შეიძლება ასწავლიდნენ ბაკალავრიატში, ხოლო მათთვის უკეთეს შემთხვევაში – აგრეთვე მაგისტრატურაში;

3. მ ა ვ ნ ე ბ ლ ე ბ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი, რომლებიც არა მარტო არ არიან ჭეშმარიტი მეცნიერები, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, იყენებენ რა თავის თანამდებობრივ მდგომარეობას მეცნიერების სფეროში, ყოველნაირად ხელს უშლიან მეცნიერების განვითარებას და ჭეშმარიტ მეცნიერებს, რათა მათ ფონზე უფერულად არ გამოჩნდნენ, რის გამოც ასეთ მავნებლებს არ უნდა ჰქონდეთ ადგილი მეცნიერებაში.

ასეთია მეცნიერების სფეროს წარმომადგენელთა ჩემს მიერ შემუშავებული და შემოთავაზებული კლასიფიკაცია, ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეცნიერების სფეროს წარმომადგენელთა „დახარისხება“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ასეთია მეცნიერების სფეროს წარმომადგენელთა ჩემს მიერ შემუშავებული არა ნომინალური (დიპლომებისა და სხვა დოკუმენტების მიხედვით), არამედ რეალური ხარისხობრივი კლასიფიკაცია [6, გვ. 76-77].

მეცნიერების სფეროს წარმომადგენელთა ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია ადასტურებს, რომ დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელთაგან (და თუნდაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მფლობელთაგან) დიდ უმრავლესობას (მიუხედავად მათ მიერ დაკავებული აკადემიური და/ან სხვა თანამდებობებისა) არ უნდა მიეცეს უფლება, რომ ისინი იყვნენ სადისერტაციო საბჭოს წევრებიც კი (მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მათგანს, სამწუხაროდ, ჭეშმარიტი მეცნიერის მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და ახალი მეცნიერული თეორიების გაგების უნარიც კი არ გააჩნია), რომ აღარაფერი ვთქვათ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობაზე,

და, ამავე დროს, დაუშვებელია, რომ ისინი იყვნენ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები, რამეთუ ჭეშმარიტი მეცნიერები არ არიან – არ არიან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და/ან ახალი მეცნიერული თეორიების შემქმნელები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი:

იმისათვის, რომ რომელიმე ხელმძღვანელ მუშაკს და/ან შემმოწმებელს უფლება ჰქონდეს მოსთხოვოს და მიუთითოს ჭეშმარიტ მეცნიერს, თუ როგორი საგანმანათლებლო პროგრამით და როგორ უნდა ხელმძღვანელობდეს ჭეშმარიტი მეცნიერი დოქტორანტურას და დოქტორანტებს, თვითონ ეს ხელმძღვანელი მუშაკი და/ან შემმოწმებელი უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი – ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და ახალი მეცნიერული თეორიების შემქმნელი.

ამასთანავე, ეს ხელმძღვანელი მუშაკი და/ან შემმოწმებელი უნდა იყოს უფრო მაღალი დონის მეცნიერი, ვიდრე ის ჭეშმარიტი მეცნიერი, რომელსაც მოთხოვნებს უყენებს ხელმძღვანელი მუშაკი და/ან შემმოწმებელი, რამეთუ, *წინააღმდეგ შემთხვევაში*, მოთხოვნების წაყენება, *რბილად რომ ვთქვათ*, უზნეობაა [9].

* * *

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და დოქტორანტების მომზადების სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარებისათვის, *ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებების შემოქმედებითი განვითარება – ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ეფექტიანი პოლიტიკური მენეჯმენტის, ანუ ჰუმანოსოციალურად გამიზნული სახელმწიფო მართვის აუცილებელი ინტელექტუალური საფუძველია.*

ამასთანავე, საზოგადოებრივი მეცნიერებების – და, *საერთოდ, მეცნიერების* – შემოქმედებითი განვითარება შეუძლებელია მეცნიერის (მეცნიერთა) სამართლიანი კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის გარეშე.

შესაბამისად, პრინციპული მნიშვნელობა აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსების სათანადო დონეზე სამართლიანად ჩატარებას (რაზედაც წინა წლებში მრავალჯერ ვწერდი, და რომელ პრობლემაზეც არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული [10, გვ. 6; და სხვა]), რათა გამოვლენილი იქნენ მასში მონაწილეთა შორის მეცნიერების სფეროს საუკეთესო წარმომადგენლები, *რამეთუ ზოგიერთმა მათგანმა მაინც უნდა შეძლოს ორიგინალური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და ხელმძღვანელობა (და არა სხვისი – ხშირად მახინჯი – სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების გადაწერა და მითვისება, რაც პლავიატად უნდა ჩაითვალოს, თუ მითვისებულია სხვისი ორიგინალური იდეები, ანუ თუ მითვისებულია სხვისი ინტელექტუალური საკუთრება), და აგრეთვე ზოგიერთმა მათგანმა მაინც უნდა შეძლოს*

დოქტორანტებისათვის სათანადო რეალური – და არა ფიქტიური – სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის კატეგორიულ მოთხოვნაში ჩემს მიერ იგულისხმება ჭეშმარიტ მეცნიერთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის აუცილებლობა, ანუ იგულისხმება ჭეშმარიტი მეცნიერები – *მეცნიერების სფეროს ის წარმომადგენლები, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე პრინციპულად ახალ მეცნიერულ მიმართულებებს, პრინციპულად ახალ მეცნიერულ თეორიებს და ა.შ.*

მაშასადამე, მეცნიერთა კონსტიტუციური უფლებების დაცვაში არ იგულისხმება მეცნიერების სფეროს მიტმასნილ „თუთიყუშთა“ „უფლებების“ დაცვა, რომლებიც მეცნიერებაში ვერაფერ ახალს ვერ ქმნიან, მაგრამ მიუხედავად ამისა დიდი პრეტენზიები გააჩნიათ და ზოგჯერ ლიდრობასაც კი ცდილობენ მეცნიერებაში (!!).

რაც შეეხება აკადემიურ თანამდებობაზე პიროვნების საკონკურსო წესით არჩევის კრიტერიუმებს, *ჩემი ღრმა რწმენით*, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც აკადემიურ, ისე სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს კონკურსანტის წვლილი მეცნიერების განვითარებაში, ანუ მეცნიერული იდეები, მეცნიერული სიახლეები, რომლებიც კონკურსის მონაწილეებს გააჩნიათ, და არა *დაზეპირებული ლექციების წაკითხვის უნარი და ა.შ., რამეთუ ლექციების დაზეპირება თუთიყუშსაც შეუძლია, თუმცა თუთიყუში მეცნიერთა რიცხვს არ მიეკუთვნება.*

ამრიგად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისა და გამარჯვებისათვის უპირველესი მოთხოვნა უნდა იყოს მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეების არსებობა, *რამეთუ კონკურსში გამარჯვებისა და პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, ბევრ მათგანს – კონკურსში გამარჯვებულს – უჩნდება პრეტენზია, რომ იყოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო კიდევ უფრო ბევრ მათგანს უჩნდება პრეტენზია, რომ იყოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი.*

და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების დიდ უმრავლესობას (აღბათ 90%-ზე მეტს) ამის უნარი არ გააჩნია.

თუმცა ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან, როგორც ყველა მუსიკოს-შემსრულებელი – კომპოზიტორი არ არის, ისე ყველა პროფესორი თუ ასოცირებული პროფესორი – მეცნიერი (ჭეშმარიტი მეცნიერი) არ არის და ვერც იქნება, რამეთუ შემოქმედებითი უნარი – ღვთაებრივი ნიჭია!!!

ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის მონაწილეს საერთაშორისო დონისა და, შესაბამისად, საერთაშორისო მნიშვნელობის სიახლეები, ანუ თუ

ჭეშმარიტად მეცნიერული სიახლეები არ გააჩნია, რომლებსაც აქვს უცხოელ მეცნიერთა აღიარება, მაშინ ის არ უნდა იქნეს დაშვებული კონკურსზე პროფესორის (*როგორც ადრე ეწოდებოდა – სრული პროფესორის*) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უნივერსიტეტებში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისათვის საკმარისი არ არის, რომ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის, *ან თუნდაც მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის*, მქონე პირი იყოს მხოლოდ შრომისმოყვარე, რამეთუ შრომისმოყვარეობა უდავოდ დასაფასებელია, მაგრამ ამავე დროს ეს არ შეიძლება იყოს საფუძველი პირის ჭეშმარიტ მეცნიერად აღიარებისა და მისი პროფესორის თანამდებობაზე არჩევისა, *რამეთუ პირი, რომელსაც საკუთარი მეცნიერული იდეები არ გააჩნია, მისთვის უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს მხოლოდ მასწავლებელი, მაგრამ არა მეცნიერი, და არა პროფესორი, რადგან პროფესორი – სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობაა.*

უფრო მეტიც, უნივერსიტეტებში პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე იმ პირთა არჩევა, რომლებიც მეცნიერები არ არიან, მეცნიერების დაცინვას წარმოადგენს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს დასჯად ქმედებას უნდა წარმოადგენდეს.

მეცნიერების დაცინვას წარმოადგენს აგრეთვე მიდგომა, რომლის თანახმად ჭეშმარიტ მეცნიერად შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობის საკუთარი მეცნიერული იდეები არ გააჩნია, მაგრამ კარგად აქვს დაზებირებული ლექციების კურსი (!!).

„სუფლიორმა, – როგორც სამართლიანად აღნიშნავს ორგზის მეცნიერებათა დოქტორი სტეფან რობევი, – ყველაზე უკეთესად იცის როლები პიესაში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ხელოვნება. მეცნიერი უნდა გადიოდეს გზას იქ, სადაც ჯერ არავის გაუვლია“ [11, გვ. 154].

დაზებირებული ლექციების წაკითხვის უნართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზემოთაც გავამახვილე ამაზე ყურადღება, ლექციების დაზებირება თუთიყუშსაც შეუძლია, თუმცა თუთიყუშში მეცნიერი არ არის, ისევე როგორც თეატრის სუფლიორი – ხელოვანი (შემოქმედი) არ არის.

მაშასადამე, უნივერსიტეტებში პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩეულ უნდა იქნენ არა მეცნიერების მუშაკები, რომლებიც ჭეშმარიტი მეცნიერები არ არიან, ანუ – არა დამხმარე მუშაკები მეცნიერებაში, და, მით უმეტეს, არა მავნებლები ან/და „საქმოსნები“ მეცნიერებაში, არამედ ჭეშმარიტი მეცნიერები, რომელთა დამსახურება უნდა მდგომარეობდეს მათი მეცნიერული შემოქმედების შედეგებში – მათ მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ახალი მეცნიერული იდეების: ახალი მეცნიერული მიმართულებების, ახალი მეცნიერული თეორიების და ა.შ. შექმნაში, რამეთუ სწორედ ჭეშმარიტმა მეცნიერებმა უნდა შექმნან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, და სწორედ მათ უნდა გაუწიონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა დოქტორანტებს, და აგრეთვე სწორედ ჭეშმარიტმა მეცნიერებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა დისერტაციების შეფასებაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში Full პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მეცნიერს აუცილებლად გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს 2 მონოგრაფია მაინც, მათ შორის კი, 1 მონოგრაფია მაინც

გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ენაზე, რათა საერთაშორისო დონეზე მისი გაცნობისა და შეფასების შესაძლებლობა არსებობდეს.

თანაც ეს მონოგრაფიები გამოქვეყნებული უნდა იყოს დამოუკიდებლად, ანუ თანაავტორების გარეშე, რამეთუ არ არსებობს კოლექტიური აზროვნება. მეცნიერული აზროვნება, და, საერთოდ, აზროვნება – მხოლოდ ინდივიდუალურია!

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, როგორც მე ჯერ კიდევ წლების წინ აღვნიშნავდი, საზოგადოებრივ მეცნიერებებში აუცილებელია საერთოდ აღმოიფხვრას სამეცნიერო შრომების (სტატიების და ა.შ.) გამოქვეყნებისას „მკვდარი სულების“, ანუ სხვის მიერ დაწერილ ნაშრომებზე მიწერის მავნე და სამარცხვინო პრაქტიკა.

რაც შეეხება უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომებს, იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, გამოქვეყნებულ ნაშრომს ჰყავს ოთხი ავტორი, მაშინ ეს ნაშრომი ყოველ თანაავტორს უნდა ჩეთვალოს მხოლოდ როგორც 1/4 ნაშრომი და ა.შ., ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ ნაშრომში არ არის გამოყოფილი ყოველი თანაავტორის კონკრეტული წილი, მაშინ კონკურსის დროს, ანუ კონკურსთან დაკავშირებით, არც ერთ თანაავტორს არ უნდა ჩეთვალოს ის ნაშრომად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რადგან კონკურსში მონაწილეობა სადოქტორო დისერტაციის დაცვა არ არის, რომ მეცნიერმა თავისი საერთაშორისო დონის მეცნიერული სიახლეები საჯაროდ დაიცვას, და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ მეცნიერება საერთაშორისო ფენომენია, ხოლო მეცნიერის შეფასების მთავარი კრიტერიუმი – მისი ნაშრომების საერთაშორისო აღიარებაა, კონკურსში Full პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, უპირველეს ყოვლისა, უალტერნატივოდ არჩეული უნდა იქნეს ის მეცნიერი (არჩეულნი უნდა იყვნენ ის მეცნიერები), რომელსაც უცხოეთის 5 სახელმწიფოში მაინც გამოქვეყნებული აქვს სულ ცოტა 50 სამეცნიერო ნაშრომი, რაც მისი მეცნიერული იდეების საერთაშორისო დონეზე აღიარების უდავო და აშკარად მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს, და რაც არაფრით არ ჩამორჩება უცხოეთში ტენუირებული პროფესორის (პროფესორების) საერთაშორისო აღიარების დონეს.

ხოლო ამის შემდეგ კი, დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე შეიძლება ჩატარდეს და უნდა ჩატარდეს კონკურსი დანარჩენ მონაწილეთა შორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

პროფესორის (Full პროფესორის) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულო უნდა იყოს აგრეთვე კონკურსანტის მიერ სულ ცოტა ერთი უცხოური – საერთაშორისო – ენის თავისუფლად (სრულყოფილად) ფლობა, რამეთუ *წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსანტი საერთაშორისო დონის მეცნიერი, ანუ ჭეშმარიტი მეცნიერი ვერ იქნება.*

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა უცხოური საერთაშორისო ენის თავისუფლად ფლობა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანი არის მეცნიერი, მაგრამ ერთი უცხოური საერთაშორისო ენის თავისუფლად ფლობის გარეშე მას ვერ ექნება ჭეშმარიტი მეცნიერისათვის საჭირო ცოდნა.

პროფესორების მიერ დოქტორანტების მომზადებასთან დაკავშირებით საგანგაშოდ მიმაჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამის ხელმძღვანელად „ნიშნავენ“ პირს, რომელსაც საერთაშორისო დონის მეცნიერული სიახლეები არ გააჩნია (?!), ანუ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად „ნიშნავენ“ პირს, რომელსაც თუმცა დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვს, მაგრამ რომელიც მეცნიერი (ჭეშმარიტი მეცნიერი) არ არის, რაც ყოვლად გაუძარტლებელია (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე, როდესაც პირს – ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ასოცირებულ პროფესორს – საწყობის გამგესავით „ნიშნავენ“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად, სხვის მიერ შექმნილ და აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამაზე, რომლის უდავო პრაქტიკული მაგალითიც არსებობს), რამეთუ წარმოუდგენელია, როდესაც პირს, რომელიც, მიუხედავად დოქტორის აკადემიური ხარისხის ფლობისა, ჭეშმარიტი მეცნიერი არ არის, უფლებას აძლევენ „ხელმძღვანელობდეს“ სადოქტორო პროგრამას და დოქტორანტებს, რასაც ეს პირი, ალბათ, თავისი დაბალი ინტელექტუალური დონისა და თავისი უუნარობის შეუცნობლობის ან/და განსაკუთრებული თავხედობის გამო, თვითონაც ეთანხმება (?!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ კონსტიტუციური უფლებების დაცვა სჭირდება არა მარტო ჭეშმარიტ მეცნიერებს, არამედ ყველა ადამიანს და, მათ შორის, ასოცირებულ პროფესორებსა და ასისტენტ-პროფესორებს.

რაც შეეხება კონკრეტულად ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების უფლებების დაცვას, *ჩემი ღრმა რწმენით*, სახელმწიფოს მიერ დაცული უნდა იქნეს ყველა მათგანის კონსტიტუციური უფლებები და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები.

კერძოდ, პენსიაზე გასვლის შემთხვევაში, როგორც Full პროფესორებს, ისე ასოცირებულ პროფესორებსა და ასისტენტ-პროფესორებს უნდა დაენიშნოთ პენსია, რომელიც იქნება მათი ხელფასის 80% მაინც.

ამის შედეგად უმტკივნეულოდ მოხდება აკადემიურ თანამდებობებზე კადრების ცვლა და ეს საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მეცნიერების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიან ფუნქციონირებას, რადგან უუნარო „პროფესორი“ აღარ შეეცდება ხელფასის მიღების მიზნით უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებას.

სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის ანალოგიური მექანიზმები უნდა დაინერგოს აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მოღვაწე მეცნიერთა მიმართ, სადაც მათი შრომის ანაზღაურება, რომ აღარაფერი ვთქვათ პენსიის შესახებ (თუმცა ეს პრობლემაც სასწრაფოდ მოსაგვარებელია), დღეისათვის კატასტროფულად დაბალია, რის გამოც, უპირველეს ყოვლსა, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მოღვაწე მეცნიერთა ხელფასები უნდა გაუთანაბრდეს უნივერსიტეტის პროფესორების ხელფასებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, *ჩემი ღრმა რწმენით*, მეცნიერებს, თუ ისინი ნამდვილად მეცნიერები არიან, და არა მეცნიერების თუთიყუშები, ყველაზე მაღალი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო სექტორში – სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების შემდეგ მაინც.

ზემოაღნიშნული წინადადების საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ, ჯერ-ერთი, ეგრეთ წოდებული ზედმეტი ღირებულება, მოგება ძირითადად იქმნება მეცნიერული იდეების საფუძველზე, ანუ მოგებას ძირითადად ქმნის ინტელექტუალური შრომა, შემოქმედებითი იდეების პრაქტიკული

განხორციელება და არა ფიზიკური შრომა – არა ცოცხალი სამუშაო ძალა, როგორც შეცდომით მიაჩნდა კარლ მარქსს და რაც მის „დიდ აღმოჩენად“ ითვლება ეკონომიკურ მეცნიერებაში.

და, მეორეც, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზოგიერთი კატეგორიის თანამდებობის პირები, *მაგალითად*, მოსამართლეები, ლეზულობენ ბევრად უფრო მაღალ ანაზღაურებას, ხოლო 2007 წელს, როგორც მე ჯერ კიდევ მაშინაც აღვნიშნავდი, ლეზულობდნენ 10-ჯერ – 15-ჯერ მეტ ხელფასს მეცნიერებათა დოქტორებთან, პროფესორებთან შედარებით (!).

ამავე დროს, მეტად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული როლი ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციებს – ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალურ ჩამოყალიბებასა და მათ ფუნქციონირებაში სახელმწიფო მართვის პროცესში.

გამომდინარე იქიდან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები გარკვეულ გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, მნიშვნელოვანია ის, თუ კონკრეტულად რა როლი ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციებს ადგილობრივი თვითმმართველობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა სრულფასოვანი ჩართვის – მონაწილეობის – ხელშეწყობის საქმეში, რაც შემდგომი კვლევის ამოცანას წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. კურატაშვილი ანზორი. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე (მონოგრაფია ქართულ ენაზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2008. – 240 გვ.

2. კურატაშვილი ანზორი. ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების თეორია – როგორც ცენტრალიზებული მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი შეხამების პრობლემის გადაჭრის საფუძველი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 2015, №1-2. სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია. თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2015. – გვ. 59-66.

3. Кураташвили Анзор А. Теория дерегулирования экономики – как специфической составной части государственного управления, и значение сети в ее реализации. Материалы XVII Международной научной конференции: „Предпринимательство, социальная орган Опыт и перспективы азвития в Центральной и Восточной Европе“ Наленчов (Польша), 23-25 мая 2016 года. Монография, состоящая из статей (докладов). Под научной редакцией Алины Бетлей, Славомира Партицкого, Магды Иоланты Пажишек. Люблинский католический университет Иоанна Павла II (Польша). Люблин: Издательство KUL, 2016, с. 180-185.

4. Кураташвили Анзор А. Теория дерегулирования экономики – как составной части системы государственного управления, функционирующей на соответствующей нормативно-правовой базе. Обеспечение устойчивого развития аграрного сектора экономики: проблемы, приоритеты, перспективы: Материалы VII Международной научно-практической интернет-конференции. 27-28 октября 2016 года. В 2-х томах. – Том 2. Днепропетровский государственный аграрно-экономический университет. Учебно-научный институт экономики (Украина). Днепропетровск: Издательско-полиграфический центр «Гарант СВ», 2016, с. 82-84.

Александр Николаевич Яценко (Киев, Украина)
аспирант кафедры международной торговли Киевского национального
экономического университета имени Вадима Гетьмана»

ЭКОЛОГИЧЕСКИЙ ВЕКТОР РАЗВИТИЯ ИНТЕЛЛЕКТУАЛИЗАЦИИ МЕЖДУНАРОДНОЙ ТОРГОВЛИ

В современной глобальной среде наряду с либерализацией и интенсификацией международных торговых отношений, все более важную роль играет экологизация, как сложный и комплексный процесс сопровождающий производственно-хозяйственную и торговую деятельность экономических субъектов.

На мировом уровне данный процесс регулируется международными организациями и различными международными договоренностями. Важная роль в торгово-экологическом регулировании отведена Комитету по Торговле и Охране Окружающей Среды, который входит в структуру ВТО и обладает особыми полномочиями заниматься подобными взаимоотношениями, в частности, определять взаимоотношения между мерами в отношении торговли и экологическими мерами, чтобы способствовать устойчивому развитию; давать соответствующие рекомендации по поводу необходимости каких-либо изменений существующих положений многосторонней торговой системы, совместимые с ее открытым, справедливым и недискриминирующим характером... [2].

К наиболее важным документам, направленным на решение глобальных экологических проблем следует отнести также Монреальский протокол 1987 года, предусматривающий снижение мирового производства фреонов и Киотский протокол 1997 года, направлен на уменьшение выбросов углекислого газа и установления обязательных количественных показателей относительно эмиссии таких газов для развитых стран с определением индивидуальной квоты на уменьшение выбросов [3].

Наряду с международным регулированием, важную роль в экологизации как торговых отношений, так и экономики в целом, играет разработка и внедрение экологических инноваций. Это своего рода новый способ производства, с помощью новейших технологий и техники, который позволит создать новый продукт и/или услугу с минимизацией вреда для экологии и с максимальной экономической выгодой. Данный процесс является прямым продуктом интеллектуализации современного мира.

Сегмент, в котором повсеместно используются экологические инновации, получил название «чистых» технологий, которые позволяют решить вопросы касающиеся:

- минимизации загрязнения окружающей среды;
- возобновления энергии;
- использование альтернативных ресурсов топлива;
- зеленое строительство;
- создание безотходного производства, и прочее.

Производство экологических технологий является одним из самых прибыльных в развитых странах, поэтому экологический рынок бурно развивается (например, по данным ОЭСР Экорынок ЕС составляет около 2,5 % ВВП). Такая ситуация обусловлена еще и ужесточением норм природоохранного законодательства в этих странах [1].

В условиях глобализации и всемирных экологических проблем развитие данного сектора играет колоссальную роль для сохранения всемирной экосистемы. Использование мирового интеллектуального потенциала, инвестирование и межгосударственное регулирование позволят эффективно внедрять экологические технологии во все сферы экономической деятельности.

Таким образом, вопрос экологического вектора развития интеллектуализации международной торговли, стоит на повестке дня современности и реализуется посредством разработки и внедрения экологических технологий во все сферы экономической деятельности.

ЛИТЕРАТУРА

1. Наконечна Т. Ю. Інноваційні екологічні технології як основа стійкого економічного розвитку / Наконечна Т.Ю. // Вісник Хмельницького національного університету. – 2010, № 5, Т. 4. – С. 293–296.

2. Окружающая среда и торговля Руководство Программа ООН по окружающей среде Подразделение технологии, промышленности и экономики Отдел по торговле и экономике и Международный институт устойчивого развития [Электронный ресурс] – Режим доступа:
http://www.iisd.org/pdf/2003/envirotrade_handbook_ru.pdf

3. Цибуляк А.Г. *Сучасні тенденції розвитку екологізації світової торгівлі* / А. Г. Цибуляк // Актуальні проблеми міжнародних відносин. - 2015. - Вип. 124(1). – С. 134-140

მელა შენგელია (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

საავტორო უფლებების მართვა და ბიზნესის განვითარება

საავტორო უფლებების (შემოქმედების) სფერო საქართველოში ახლა ვითარდება და ყალიბდება. პრაქტიკულად ქვეყანაში ჩამოყალიბებული არ არის საავტორო უფლებების დაცვის კულტურა, მაშინ როდესაც საავტორო უფლებების მართვას მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკური განვითარების პროცესში.

ამასთანავე, საყურადღებოდ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ საავტორო უფლებების მართვის საკითხის დაკავშირება ზოგადად ბიზნესის განვითარებასთან მეტად მნიშვნელოვანია. შესაბამისად ბევრი პრობლემა მოითხოვს ახლებურ გაანალიზებას და მისი გადაწყვეტისათვის კონკრეტული გზების დასახვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში საავტორო უფლებების მართვის არსის, საავტორო უფლებების დაცვის განვითარების, მნიშვნელობის ახლებური ხედვა და ამის საფუძველზე ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანი ფუნქციონირების გზების დასახვა.

ამისთვის კი აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- საავტორო უფლებების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის შესწავლა და გაანალიზება;
- საავტორო უფლებების განვითარების მოდელებისა და ტენდენციების მიმოხილვა უცხოური ქვეყნების მაგალითზე და მათ საფუძველზე საქართველოში საავტორო უფლებების მართვის განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- საავტორო უფლებების დაცვა;
- საავტორო უფლებების დაცვის გავლენის შესწავლა ბიზნესის განვითარებაზე,
- ყალბი (პირატული) საავტორო უფლებით დაცული პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრის კვლევა და შესაბამისად პრაქტიკული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება.

საავტორო უფლებების ეფექტურ მართვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან იგი, პირველ რიგში, ხელს უწყობს შემოქმედებას, ხოლო შემოქმედება, თავის მხრივ, ბიზნესის, საზოგადოების და ასევე სახელმწიფოს განვითარების საფუძველია.

საავტორო უფლების ეფექტური მართვა ნიშნავს იმას, რომ ავტორმა მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება საკუთარი ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენებიდან, რადგან თუ ავტორი ამ ნაწილში დაცულია, ცხადია, ეს იქნება მისთვის წამახალისებელი საშუალება შექმნას მეტი ნაწარმოები და გაფართოვდეს საავტორო უფლებით დაცული ობიექტები (ნაწარმოებები).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების ფართო არჩევანი ნიშნავს მათ დაბანდობას სხვადასხვა ბიზნესში.

საავტორო უფლებით დაცულ ობიექტებს შორის დღესდღეობით ყველაზე მოთხოვნადი ნაწარმოებია მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც შეიძლება დაბანდდეს მუსიკალურ ინდუსტრიაში, ასევე შესაძლებელია შეიქმნას ფონოგრამის მწარმოებელი კომპანია, გამოიცეს და გაიყიდოს მუსიკალური ალბომები.

ასევე შეიძლება შეიქმნას მუსიკალური გამომცემლობები, რომლებიც მუსიკალური ალბომების გამოცემასთან ერთად იზრუნებენ ნაწარმოებების და მათი ავტორების

პოპულარიზაციაზე (პრომოუშენზე) და მარკეტინგულად დააგეგმარებენ ნაწარმოების რეალიზაციას.

ბიზნესის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს უცხოური მსხვილი მუსიკალური გამომცემლობების წარმომადგენლობების დაფუძნება საქართველოში, რითაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა სექტორში ნაწარმოების რეალიზაცია, რომლებსაც შეუძლია გონივრული და კეთილსინდისიერი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში სერიოზული მოგება მოუტანოს ბიზნეს კომპანიებს, გახდეს შემოსავლის წყარო ავტორებისათვის და, საბოლოო ჯამში, ხელმისაწვდომი იყოს მომხარებლებისათვის (საზოგადოებისათვის). ყოველივე ეს, განავითარებს ქვეყნის ეკონომიკას და კულტურასაც.

საავტორო უფლებების მართვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ბიზნესში მდგომარეობს ასევე იმ საკანონდებლო ხარვეზებში, რაც ფართოდაა აპრობირებული დღევანდელ ვითარებაში. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ის, რომ დღესდღეობით კომერციული იურიდიული პირების დაფუძნება ძალზე მარტივია. საჭიროა საჯარო რეესტრში მისვლა და 100 ლარის გადახდა. ერთ სამუშაო დღეში კომპანია დაფუძნებულია. ეს, ერთის მხრივ, კარგია ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით, მაგრამ, მეორეს მხრივ, ასეთი კომპანიები ძალიან მარტივად არღვევენ საავტორო უფლებებს, რადგან იციან, რომ პასუხისმგებლობას მარტივად თავს აარიდებენ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დაუცველები არიან მუსიკალური ნაწარმოების ავტორები მასობრივ სანახაობით ღონისძიებებზე საჯარო შესრულების დროს. ღონისძიების (კონცერტის) ორგანიზატორები ღონისძიების გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე აფუძნებენ ახალ შპს-ს და შემდგომ იწყებენ ამ ორგანიზაციით კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვას. კონცერტის გამართვიდან მეორე დღეს, მათი ორგანიზაციის ანგარიშზე არცერთი თეთრი არ არის. ისინი სპეციალურად იღებენ თანხებს ანაგრიშიდან, რათა დაუსხლტდნენ თავიდან პასუხისმგებლობას. არ უხდინან ავტორებს საავტორო ჰონორარს, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას კი, მხოლოდ ერთადერთი ბერკეტი გააჩნია – ეს არის სასამართლოში სარჩელის აღძვრა. იმას თუ გავითავალისწინებთ, რომ სასამართლო საკმაოდ დროში გაწეული პროცედურაა, კონცერტის ორგანიზატორს უკვე ახალი შპს აქვს დაფუძნებული და კვლავ განაგრძობს საავტორო უფლებების დარღვევას დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით და ავიწყდება, ან სურს რომ დაივიწყოს, მისი ბიზნესის მთავარი “კაპიტალი” – მუსიკალური ნაწარმოების ავტორი. ამ პრობლემის აღსაკვეთად აუცილებელია გართულდეს კომერციული იურიდიული პირების დაფუძნების პროცედურა. ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ “პასუხისმგებლობის დაზღვევა”, რაც ფართოდ აპრობირებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

თუ ქვეყანაში არ შეიქმნა შიში იმისა, რომ საავტორო უფლებების დარღვევის შემთხვევაში ძნელია გაექცე პასუხისმგებლობას, სასურველ შედეგს ვერასდროს მივალწევთ.

საავტორო უფლებების ეფექტური მართვის განხორციელებისათვის აუცილებელია საავტორო უფლებების ეფექტური დაცვა, ხოლო დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია სასამართლო.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე სპეციალიზებული სასამართლო სისტემის შემოღება, რომლიც მეტად სწრაფს გახდის მართლმსაჯულებას, აგვარიდებს გადატვირთულ და გაჭიანურებულ სასამართლო დავეს, ხოლო დარღვევის ფაქტებზე მოხდება სწრაფი კომპეტენტური რეაგირება. ასევე საავტორო უფლებების სფეროში მოქმედი ელექტრონული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობისათვის სამართლებრივი უზრუნველყოფა იქნება ინტერნეტ წესების საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბება და მათი სათანადო აღსრულება. ამ წესებით უნდა განისაზღვროს ინტერნეტში საავტორო უფლებით დაცულ პროდუქციაზე, როგორც ბიზნესის, ასევე მომხმარებლის ქცევის წესები.

ლელა წიკლაური (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის დოქტორანტი

ხალხთა თანასწორ უფლებიანობის და თვითგამორკვევის პრინციპი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის და, ამგვარად, ადამიანის საერთაშორისო უფლებებისათვის თვითგამორკვევის უფლებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

თვითგამორკვევის უფლება, *ყოველგვარი ეჭვის გარეშე*, წარმოადგენს ჯგუფურ უფლებას. ამ უფლებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ “ხალხებს” [1, გვ. 377].

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის საფუძველზე მოქმედი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის აზრით, თვითგამორკვევის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამეთუ მისი განხორციელება ადამიანის ინდივიდუალური უფლებების ეფექტური უზრუნველყოფისა და დაცვის, და ამ უფლებების წახალისებისა და განმტკიცების მთავარი პირობაა.

ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები ცხოვრობენ, პირებს, რომლებიც ამ უმცირესობებს ეკუთვნიან, არ შეიძლება უარი ეთქვას ამ უმცირესობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ რიტუალები, აგრეთვე ისარგებლონ თავიანთი ენით.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის 27-ე მუხლის მიხედვით, უმცირესობებს არ აქვთ გამოყოფის უფლება “საგარეო გამოყოფის” მნიშვნელობით, მათ აქვთ ავტონომიის უფლება სახელმწიფოს არსებულ სტრუქტურაში, რომელიც შიდა თვითგამორკვევად იწოდება. ამერიკელი ანალიტიკოსი პიტერ მაღანჩუკი წერს, რომ არც პაქტი და არც საერთაშორისო სამართლის რომელიმე ნორმა არ კრძალავს უმცირესობის უფლებას გამოყოფაზე [2, გვ. 369-370].

თვითგამორკვევა და გამოყოფა არ არის დასაშვები იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იცავს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, არღვევს ისტორიულ საზღვრებს და ა.შ.

მართალია თვითგამორკვევაში გაერთიანებულია ხალხთა უფლებები, მაგრამ ეს არ აძლევთ მათ იმის საშუალებას, რომ დაარღვიონ ტერიტორიული მთლიანობა.

ამასთან, თუ კონფლიქტი ტიტულარულ ერსა და ეთნოსს შორის გენოციდის სახეს იღებს, მაშინ უმცირესობებს საერთაშორისო სამართალი გამოყოფის უფლებას აძლევს.

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა შეიძლება დარღვეული იქნას გარედან სხვა სახელმწიფოების მიერ ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით, ან შიგნიდან სეპარატისტული ძალების მიერ.

შესაბამისად, თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დამოკიდებულება სწორედ ამ ორი მიმართულების მიხედვით უნდა გამოვყოთ.

ხალხთა თვითგამორკვევის უფლება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იმას, რომ გარედან ძალის გამოყენებით და ხალხის აზრის იგნორირებით არავის არ შეუძლია შეცვალოს სახელმწიფოს პოლიტიკური სტატუსი. ეს ფაქტობრივად იგივეა, რაც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი, რომელიც იცავს სახელმწიფოს, მის საზოგადოებას საგარეო ჩარევისაგან.

ამდენად ამ შემთხვევაში, ხალხთა თვითგამორკვევა არათუ არ ეწინააღმდეგება ტერიტორიული ხელშეუხებლობის პრინციპს, არამედ ისინი, ფაქტობრივად, ერთი და იგივეს ამტკიცებენ.

ამგვარად, თვითგამორკვევის და მასზე დაყრდნობით გამოყოფის უფლების ლეგიტიმურობის პრობლემა საკმაოდ რთული გასარკვევია.

საერთაშორისო სამართლის თურქი ექსპერტის მარტი კოსკენიემის სიტყვებით, “უცნაური სიძნელეები, რომლებსაც ქმნის ამ პრინციპის გამოყენების დაჟინებული მცდელობა, მომდინარეობს იმ პარადოქსიდან, რომ ის იცავს და ამავე დროს პრობლემებს უქმნის სახელმწიფოს და შეუძლებელს ხდის პატრიოტულ და სეპარატისტულ აზროვნებას შორის ზოგადი განსხვავების დადგენას” [3, გვ.241].

გაეროს 1970 წლის დეკლარაცია „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“, აგრეთვე ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი განსაზღვრავენ ხალხთა და ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ყველა ხალხის უფლებას თავისუფლად, გარედან ჩაურევლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი და ახორციელებდეს თავის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. თითოეული სახელმწიფო მოვალეა პატივს სცემდეს ამ უფლებას წესდების დებულებათა შესაბამისად [4, გვ.48].

ლიტერატურა

1. **რონა კ.მ. სმიტი.** ადამიანის საერთაშორისო უფლებები. ოქსფორდის უნივერსიტეტი გამომცემლობა; (სახელმძღ. მთარგ.: მანანა კობიაშვილი; სახალხო დამცველის აპარატი) – მე-2 გამოც. თბილისი: “სეზანი”, 2006.

2. **მალანჩუკი პ.** აკეპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2005.

3. **Koskenniemi M.** (1994) *National Self-Determination Today: Problems of Legal Theory and Practice* in 42. International and Comparative Law Quarterly. Pg. 241.

ზვიად კვარაცხელია (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის დოქტორანტი

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების პრობლემების გამოკვლევა და შესწავლა, განსაკუთრებით ქვეყნის სპეცსამსახურებთან მიმართებაში უაღრესად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის მისი მრავალმხრივობიდან გამომდინარე.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები ითვლის მრავალ ათასწლეულს, რაც თავისთავად ბუნებრივი მოვლენაა. ცნობილია, რომ სახელმწიფოში ინდივიდი მოწოდებულია კომუნიკაცია იქონიოს სხვა ინდივიდთან. ასევე წარმოუდგენელია სახელმწიფოს არ გააჩნდეს პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და ა.შ. ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან. ამ ყველაფერს შემდგომ მოჰყვა დიპლომატია, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებისთვის [1, გვ. 8].

თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ სპეციალურ სამსახურებს უმნიშვნელოვანესი როლი უკავიათ და მონაწილეობას ღებულობენ ზემოხსენებულ ურთიერთობებში. სპეციალური სამსახურების უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი, რათა შემდგომში ამის საფუძველზე პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ მიღებული იქნეს ქვეყნისათვის სწორი გადაწყვეტილებები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ისტორიული ასპექტების, მათი არსისა და მნიშვნელობის გამოკვლევა. ეს თავისთავად რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს ღრმა ანალიზის ჩატარებას შესაბამისი ისტორიული მასალების კვლევისა და მოპოვების თვალსაზრისით [2, გვ. 9].

ცნობილია, რომ ისტორიულად სპეციალური სამსახურები სათავეს იღებენ ძველი ანტიკური ქვეყნების: ეგვიპტის, საბერძნეთის, ჩინეთის და სხვა სახელმწიფოთა ისტორიიდან.

ამგვარად, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. მიუხედავად იმისა, ხშირ შემთხვევაში ეს ურთიერთობები მოვლენების ზედაპირზე არ ჩანს, მისი სრულყოფილად შესწავლა და გაანალიზება ყოველ ეპოქაში არის აუცილებელი და სავალდებულო დამოუკიდებელი ქვეყნისათვის [3, გვ. 10]. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მხოლოდ დავით აღმაშენებლის დრო შეიძლება ჩაითვალოს იმ ეპოქად, როდესაც საქართველო ჭეშმარიტად იყო დამოუკიდებელი და თანასწორი სხვა დიდ სახელმწიფოებთან მიმართებაში. ეს უდავოდ დიდი დამსახურებაა დავითის მიერ შექმნილი სპეცსამსახურებისა.

ასეთი სახელმწიფოს აშენების მცდელობა იყო უახლოეს წარსულში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ, რაც, საუბედუროდ, ვერ განხორციელდა გარკვეული მიზეზების გამო.

დღევანდელი მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესში უამრავი პრობლემა არსებობს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეულია – ტერორიზმი. ეს ანტიჰუმანური ქმედება მძლავრად მძვინვარებს დღეს, რამაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საჭიროა მყისიერი და ძალზედ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც უნდა მოხდეს სახელმწიფოებს შორის კოორდინირებულად და ურთიერთმოქმედების საფუძველზე.

ესაა ერთ-ერთი გზა, რაც თავიდან აგვაცილებს ამ უმძიმეს XX საუკუნის სენს.

ამისათვის საჭიროა ცივილიზებული სამყაროს სახელმწიფოებს შორის გაღრმავდეს დიპლომატიური, პოლიტიკური, სამხედრო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და უმთავრესია – სპეციალურ სამსახურებს შორის კოორდინაცია.

ამრიგად, სპეციალური სამსახურები უნდა დადგენენ მოწოდების სიმაღლეზე.

ნომერ პირველ პრობლემად მიგვაჩნია ქვეყნის სპეცსამსახურში არსებული საკადრო პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დროულად მოპოვება, რათა შემდგომში მოხდეს მოპოვებული ინფორმაციის (იქნება ეს აგენტურული, ტექნიკური თუ სხვა შესაძლებლობებით) ანალიზი, რომელიც დროულად გადაეცემა შესაბამის სტრუქტურებს შემდგომი რეაგირებისათვის.

სპეცსამსახურების მიერ დაბუშავებული ინფორმაცია უნდა გადაიგზავნოს საერთაშორისო უსაფრთხოების მონაცემთა საერთო ბაზაში, რათა დროულად იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები მთელ რიგ გლობალურ დანაშაულებთან ბრძოლის წინააღმდეგ.

არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემად მიგვაჩნია ქვეყანაში არსებული ფისკალური პოლიტიკა სპეცსამსახურების მიმართ. პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება იმისა, რომ ქვეყნის სპეცსამსახურების საქმიანობა გამოყენებული იქნას სახელმწიფო ინტერესებისთვის და საერთაშორისო უსაფრთხოების ინტერესებისთვის და არა გარკვეული მმართველი წრეების პირადი ამოცანებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ ძალაუფლების უზურპაციას.

ზენოანნიშნული აუცილებელია იმისათვის, რათა სახელმწიფო არ მივიდეს ავტორიტარულ მმართველობამდე და უარეს შემთხვევაში დიქტატორულ მმართველობამდე კი. ამისი მაგალითები საქართველოში, სამწუხაროდ, მრავლად გაგვაჩნია.

შედეგად საზოგადოება უარყოფითად ეწყობა სპეცსამსახურების მიმართ და ყალიბდება სტერეოტიპი, რომ თითქოს სპეცსამსახური არის საშიში ძალადობრივი სახელმწიფო აპარატი, რომელიც საჭიროა ხალხის მასის დასამონებლად – მათი ფარული თვალთვალის, მიყურადების და ა.შ. გზით.

არსებული პრობლემების გადაჭრის გზები რთულია, თუმცა არა შეუძლებელი.

უპირველეს ყოვლისა უნდა არსებობდეს ხელისუფალთა პოლიტიკური ნება, რომ სპეცსამსახურების ძალები და შესაძლებლობები გამოყენებული იქნას სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ამის შემდგომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები, ჩვენი აზრით, შემდეგია:

1. ქვეყანაში შეიქმნას ისეთი მაღალი კლასის სასწავლო ბაზა, რომელიც მოამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს სპეციალური სამსახურებისთვის (დაზვერვა და კონტრადაზვერვა). ფუნქციონირებდეს გაცვლითი პროგრამები ისეთ სახელმწიფოებთან რომელთაც გააჩნიათ დიდი გამოცდილება და საშუალებები სპეცსამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებით (რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაში მოიაზრებიან სახელმწიფოები, რომლებთანაც გვაკავშირებს სტრატეგიული და პარტნიორული ურთიერთობები, ვინაიდან ეს ეხება სრულიად საიდუმლო საკითხებს)

2. უნდა ამაღლდეს პატრიოტული მოტივი ახალგაზრდა თაობაში და გაიზარდოს ინტელექტის პროცენტული მაჩვენებელი, ასევე არ მოხდეს ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსის გადინება.

3. უნდა შეიცვალოს ხალხის განწყობა აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ, ხალხს უნდა გაუჩნდეს ნდობა და მასში ხედავდეს ქვეყნის ძლიერების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომლის დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე კარგ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ისრაელის სახელმწიფო. ისრაელის მოქალაქეები პოლიციისა და სპეციალური სამსახურის მოთხოვნებს ემორჩილებიან ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე. ისინი თანამშრომლობენ მათთან შეუზღუდავად და უპრობლემოდ.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ აღნიშნული სამსახურები იცავენ მათ პირად და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. სპეცსამსახურებს არ სჭირდებათ მოქალაქეების ფარული გადმობირება, ვინაიდან ყველა თანამშრომლობს ნებაყოფლობით და საკუთარი ინიციატივით.

ყოველივე აქედან გამომდინარე დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების და ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სეგმენტია ძლიერი სპეცსამსახური, რომლის მაგალითიც ისტორიულად მრავლად გავგაჩნია, როგორც საქართველოში ასევე მთელ მსოფლიოში.

ლიტერატურა

1. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტომი I. თბილისი, 1998.
2. მენტეშაშვილი ა. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია. წიგნი I. თბილისი, 2000.
3. სონღულაშვილი ა. დაზვერვის ისტორიიდან. თბილისი, 2008.

თამარ მამნიაშვილი (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
საჯარო მმართველობის სპეციალობის დოქტორანტი

**კონსტიტუცია –
სახელმწიფო მართვის
ამოსავალი
სამართლებრივი საფუძვლები**

სახელმწიფო მართვის ამოსავალ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია [1], რომელშიც ასახულია მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, გადმოცემულია ასევე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის არჩევის რეგულაცია და მისი უფლებამოსილება, პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის არჩევის წესი და მისი უფლებამოსილება, აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის ფორმირების წესი, ასევე სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებები.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით მკვეთრად არიის ერთმანეთისაგან გამიჯნული მთლიანად ხელისუფლების სამი შტო, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, რომლებიც დამოუკიდებელი არიან და არც ერთ მათგანს არ აქვს უფლება მიისაკუთროს ან ჩაერიოს ხელისუფლების რომელიმე შტოს საქმიანობაში.

სწორედ ეს სამი შტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო მართვას, რომელშიც ხელმძღვანელობენ არა მარტო საქართველოს კონსტიტუციით, არამედ კონსტიტუციის საფუძველზე კანონმდებლის მიერ მიღებული საქართველოს კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.

იმისათვის, რომ ხელისუფლების თითოეულმა შტომ წარმატებით განახორციელოს თავისი გამგებლობით მინიჭებული ფუნქციები, აუცილებელია თითოეული კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი შესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

რა არის სახელმწიფო? ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას [2, გვ. 37].

თანამედროვე ეპოქაში მართვის მრავალი განმარტება არსებობს. მაგალითად, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის პროფესორი როი გოდსონი მართვაში (მენეჯმენტში) გულისხმობს, როგორც ეფექტურობას, ისე კონტროლს.

მართვის მიზანია განავითაროს ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის გეგმები, წესები ან ინსტრუქციები და შემდეგ უზრუნველყოს ორგანიზაციის საწარმოსა თუ ხელისუფლების ელემენტების (დანაყოფების) მიერ დასახული მიზნების მიღწევა, რაც შეიძლება სწრაფად, ნაკლები დანახარჯებით, უსაფრთხოდ და ასე შემდეგ. ამავე დროს ხელმძღვანელთა მოვალეობაა უზრუნველყოს ორგანიზაციის დანაყოფებზე კონტროლი [3, გვ. 27-57].

კონსტიტუციაა ის დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხს განსაზღვრავს.

შესაბამისად, სახელისუფლებო რგოლების: პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებები კონსტიტუციაშია ასახული.

კონსტიტუციის მნიშვნელობას განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ის ფაქტი, რომ ის არის უზენაესი კანონი ეროვნულ-სამართლებრივ სისტემაში

კონსტიტუციის უზენაესობაში იგულისხმება, მისი, როგორც ძირითადი კანონის უმაღლესი იურიდიული ძალა ეროვნულ-სამართლებრივი სისტემის ყველა ნორმატიულ აქტთან შედარებით.

კონსტიტუცია აწესებს მოვალეობას, რომლითაც სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოქმედებენ.

სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რომ პარლამენტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები შესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

ორგანული კანონებიდან აღსანიშნავია:

- ა. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მიღებულია 2009 წლის 4 დეკემბერს;
- ბ. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ქუთაისი, 5 თებერვალი, 2004 წ;
- გ. საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ, ქუთაისი, 2014 წ. 29 აპრილი;

როგორც ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, არც თუ იშვიათად ხსენებული კანონები არ შეესაბამებიან და ცალკეულ შემთხვევებში კი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, რითაც გამოვლინდა კანონმდებლობაში ხარვეზები და ნაკლოვანებები. რაც ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. **საქართველოს კონსტიტუცია.** მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. ჰტტპ://www.parlliament.ge/ge/კანონმდებლობა/კონსტიტუციონ-ოფ-გეორგია-68
2. **გივი ინჭკირველი.** სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბილისი თსუ-ს გამომცემომცემლობა. 2011.
3. **რ. გოდსონ.** უშიშროების, სადაზვერვო და სამართალდამცავი ორგანოების მართვა დემოკრატიულ საზოგადოებაში. წიგნში „უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის ორგანოების რეფორმის კონცეფცია.“ გამ. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით. თბილისი. 2002.

დავით მეფარიშვილი (თბილისი, საქართველო)

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი,
აუდიტორული კომპანია „BDO“-ს კონსულტანტი

ERP პროგრამების გამოყენება ბიზნეს პროცესების მართვაში

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპრეცედენტო ზრდამ გავლენა მოახდინა ორგანიზაციის თითოეულ ბიზნეს პროცესზე. ტერმინი ERP (enterprise resource planning) გამოყენებული იყო Gartner-ის მიერ 1990 წელს, თუმცა მისი ისტორია იწყება 1960 წლიდან. თავდაპირველად განკუთვნილი იყო მარაგების განკარგვისა და კონტროლისათვის წარმოების სექტორში. პროგრამისტებმა შექმნეს პროგრამული უზრუნველყოფა მარაგების მონიტორინგისთვის, ბალანსების დადარებისთვის და სტატუსების რეპორტირებისთვის. 1970 წლისთვის მსგავსი პროგრამები გადაიქცა Material Requirements Planning (MRP) სისტემად საწარმოო პროცესის დაგეგმვისათვის.

აღრეულ 1980-იან წლებში, MRP განვითარდა და მოიცვა უფრო მეტი პროცესები წარმოებიდან, მას უკვე უწოდებდნენ MRP-II-ს. 1990-იანი წლებისთვის ეს სისტემები მოიცავდა უფრო მეტს ვიდრე მარაგების კონტროლს და მოიცვა ბექოფისის ისეთი ფუნქციები, როგორცაა: ბუღალტერია და ადამიანური რესურსები, სცენას ამზადებდა ისეთი იარაღი სისტემებისათვის, როგორსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ [1, pp. 25].

ამავდროულად ბიზნეს გარემო ხდება მეტად კომპლექსური ფუნქციური ელემენტებით, რომელიც საჭიროებს უფრო მეტ შიდაფუნქციურ ინფორმაციის ნაკადებს გადაწყვეტილების მისაღებად, დროული და ეფექტური შესყიდვის პროცესს, ინვენტარის მენეჯმენტს, აღრიცხვას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს, მომსახურებისა და საქონლის მიწოდებას. ყველაფერი ზემოთხსენებულისაგან გამოდინარე, ორგანიზაციის მენეჯმენტს სჭირდება ეფექტიანი საინფორმაციო სისტემები, რათა გაზარდოს კონკურენტუნარიანობა ნაკლები დანახარჯებითა და უკეთესი ლოჯისტიკის წყალობით. ზოგადად ცნობილია, რომ უნარს, მიიღო საჭირო ინფორმაცია საჭირო დროს, მოაქვს უზარმაზარი სარგებელი ორგანიზაციისთვის გლობალურ კონკურენტულ სამყაროში კომპლექსურ ბიზნეს გადაწყვეტილებათა ფონზე.

გვიანდელი 1980-იანებიდან დასასრულსა და 1990-ის დასაწყისში ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, ცნობილი ინდუსტრიაში, როგორც enterprise resource planning (ERP) სისტემები გამოჩნდა ბაზარზე, რომელიც ძირითადად გათვლილი იყო დიდი კომპლექსურ ორგანიზაციებზე. ეს რთული, ძვირადღირებული, მძლავრი სისტემები კონსულტანტებს ავალდებულებდა მოერგო ისინი კომპანიის მოთხოვნებისათვის. ხშირ შემთხვევაში, კომპანიები იძულებული ხდებოდნენ გადაეწყობთ თავიანთი ბიზნეს პროცესები, რათა თავსებადი ყოფილიყო პროგრამის ლოგიკასთან

იარაღი სისტემის დანერგვა მოიცავს ბიზნეს პროცესების ცვლილებებს, პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურაციას და პროგრამული პაკეტის ინსტალაციას, რომელიც ერთ სისტემაში გააერთიანებს ორგანიზაციის ყველა მონაცემებს და პროცესებს. იგი უფრო მეტად არის ორგანიზაციული რეკონსტრუქცია ვიდრე ტექნიკური დავალება. იარაღი სისტემა არის მრავალ ფუნქციური და აერთიანებს ორგანიზაციის ისეთ ფუნქციებს, როგორც არის ადამიანური რესურსების მართვა, ბუღალტერია, საწყობის მართვა, შესყიდვები, ლოჯისტიკა და ასე შემდეგ.

იარაღი სისტემის არჩევა არის ყველაზე რთული ამოცანა და ყველაზე სარისკო გადაწყვეტილება, რომლის წინაშეც შეიძლება კომპანია დადგეს. საწარმომ უნდა აირჩიოს პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევის ექსპერტები და მეთოდები.

სისტემის არჩევასთან დაკავშირებული დრო ზრდის იარაღი სისტემის დანერგვის დროს. სისტემის არჩევის შემდეგ ხდება არჩეული სისტემის მოდულების დაწვრილებით განხილვა – სისტემის სკრინინგი.

ტაქტიკურ დონეზე ხდება ანალიზი – ბიზნესის შიდა პროცესების განხილვა და მოდელირება, ბიზნეს პროცესების რეინჟინინგი და კომპანიის შიდა რეკონსტრუქცია.

ორგანიზაციის მენეჯერებს ხშირად არ აქვთ ზუსტად განსაზღვრული კომპანიაში მიმდინარე ბიზნეს პროცესები და ის, თუ, როგორ უნდა განავითარონ ეს პროცესები მაქსიმალური მოგების და ეფექტიანობის მისაღწევად. ამ პრობლემის გადასაჭრელად საუკეთესო გამოსავალია, რომ კომპანიამ იარაღი სისტემის დანერგვამდე ჩაატაროს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების შიდა აუდიტი და ანალიზი.

ოპერაციულ დონეზე ხდება პერსონალის სწავლება და პროგრამის ტესტირება რეალური სცენარებით. ბოლო ეტაპზე აუცილებელია დანერგილი პროგრამის ტესტირება რეალური სცენარებით. სანამ არ მოხდება ტესტირების შედეგად მიღებული ყველა შეცდომის გასწორება იქამდე პროცესი არ სრულდება. ანერგვის ყველა ამოცანებიუნდა შეასრულოს ორგანიზაციამ იარაღი სისტემის წარმატებით დანერგვის უზრუნველსაყოფად [2, pp.171].

დღეისათვის შექმნილია და კვლავაც ვითარდება საწარმოო მენეჯმენტის ავტომატიზებული სისტემების ისეთი პროგრამული პაკეტები, როგორცაა ERP (Enterprise Resource Planing - ბრიტანეთი, აშშ და სხვ.), SAP (System Analysis and Program Development-germania), CRM (Customer relationship management - maikrosofti, orakle da sxv.), “1C: Предприятие” (რუსეთი) და ა.შ. საქართველოში მსგავსი სისტემების პროგრამული პაკეტების განვითარება და გამოყენება ხდება კერძო პროგრამული კომპანიების მიერ. მაგალითად, ფირმები: ORIS (სისტემა „ორის მენეჯერი“), UGT, BIT, ApexERP sistema, FINA, Infinati და სხვ. [3, pp.25].

ლიტერატურა

1. **Hong, K-K. and Kim, Y-G. (2015)** ‘The critical success factors for ERP implementation: an organizational fit perspective’, Information and Management, Vol. 40, No. 1, pp.25–40.
2. **Jaiswal, M.P. and Kaushik, A. (2015)** ‘Realising enhanced value due to business network redesign through extended ERP systems: case study of HLLNet’, Business Process Management Journal, Vol. 11, No. 2, pp.171–184.
3. **Kallinikos, J. (2016)** ‘Deconstructing information packages: organizational and behavioral implications of ERP systems’, Information Technology & People, Vol. 17, No. 1, pp.8–30.

<p>Альфред А. Кураташвили (Тбилиси, Грузия) – ПОЛИТИКО-ПРАВОВАЯ ТЕОРИЯ ПЛАНЕТАРНОГО СОЮЗА ГОСУДАРСТВ – НАУЧНАЯ ОСНОВА СОЗДАНИЯ ПРИНЦИПИАЛЬНО НОВОГО МЕХАНИЗМА ЗАЩИТЫ ПРАВ, СВОБОД И ИНТЕРЕСОВ ЧЕЛОВЕКА В МЕЖДУНАРОДНОМ МАСШТАБЕ.....</p>	3
<p>ჯემალ გახოკიძე (თბილისი, საქართველო), სოფო მიდელაშვილი (თბილისი, საქართველო) – იტალია – სამხრეთ ტიროლი (კონფლიქტების დარეგულირების ისტორიიდან)</p>	7
<p>Альфред А. Кураташвили (Тбилиси, Грузия) – О НЕОБХОДИМОСТИ ПРОВЕДЕНИЯ ЧЕМПИОНАТА МИРА ПО НАУЧНОМУ ТВОРЧЕСТВУ В ОБЛАСТИ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК С ЦЕЛЬЮ ПРЕОДОЛЕНИЯ ГЛУБОКОГО КРИЗИСА В ДАННОЙ ОБЛАСТИ НАУК В ИНТЕРЕСАХ ЧЕЛОВЕКА, ОБЩЕСТВА, ГОСУДАРСТВА И ЧЕЛОВЕЧЕСТВА В ЦЕЛОМ. Кто есть кто в общественных науках?!.....</p>	11
<p>ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – დოქტორების მომზადების მწვავე პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა საზოგადოებრივ მმართველობათა სფეროში. ვინ შეიძლება იყოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი.....</p>	23
<p>ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – მკროპის პავშირში ინტეგრაცია: მიზანი თუ საშუალება?!.....</p>	37
<p>Альфред А. Кураташвили (Тбилиси, Грузия) – ПОЛИТИКО-ПРАВОВАЯ ТЕОРИЯ СООТНОШЕНИЯ СВОБОДЫ И ОТВЕТСТВЕННОСТИ – ТЕОРИЯ АДЕКВАТНОЙ ОТВЕТСТВЕННОСТИ КАЖДОГО ЧЕЛОВЕКА ПО ОТНОШЕНИЮ К РЕЗУЛЬТАТАМ СВОБОДЫ ЕГО ДЕЯНИЙ. Свобода людей, без наличия адекватной ответственности по отношению к этой свободе – потенциальная основа их безнаказанных преступных деяний (?!).....</p>	41
<p>Наталья А. Карасева (Киев, Украина), Ольга Н. Яценко (Киев, Украина) – РАЗВИТИЕ АГРАРНОГО СЕКТОРА ЭКОНОМИКИ В УСЛОВИЯХ ТРАНСФОРМАЦИИ ГЛОБАЛЬНОЙ ТОРГОВОЙ СИСТЕМЫ.....</p>	47
<p>Анзор А. Кураташвили (Тбилиси, Грузия) – ТЕОРИЯ СОЦИАЛЬНОЙ ПРИБЫЛИ И ЦИВИЛИЗОВАННАЯ НАЛОГОВАЯ ПОЛИТИКА ГОСУДАРСТВА.....</p>	49
<p>Manana Maridashvii (Tbilisi, Georgia) – ADVANCES IN COMPERATIVE MANAGEMENT AND A CROSS CULTURAL PERSPECTIVE OF GEORGIA.....</p>	55
<p>Анна В. Шестакова (Житомир, Украина) – ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ ФОРМИРОВАНИЯ АЛЬТЕРНАТИВНОЙ ЗАНЯТОСТИ: РЕГИОНАЛЬНЫЙ АСПЕКТ.....</p>	57

ციალა ჯინჭარაძე (თბილისი, საქართველო) – საბადასახადო კონტროლი – რობორტ სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა.....	59
ავთანდილ ადგიშვილი (თბილისი, საქართველო) – ადგილობრივი თვითმმართველობა და სამოქალაქო საზოგადოება.....	61
Александр Н. Яценко (Киев, Украина) – ЭКОЛОГИЧЕСКИЙ ВЕКТОР РАЗВИТИЯ ИНТЕЛЛЕКТУАЛИЗАЦИИ МЕЖДУНАРОДНОЙ ТОРГОВЛИ.....	63
მედეა შენგელია (თბილისი, საქართველო) – საავტორო უფლებების მართვა და ბიზნესის განვითარება.....	65
ლელა წიკლაური (თბილისი, საქართველო) – საღსოფრო თანასწორ უფლებიანობის და თვითგამორკვევის პრინციპი.....	67
ზვიად კვარაცხელია (თბილისი, საქართველო) – სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ისტორიული ასპექტები.....	69
თამარ მამნიაშვილი (თბილისი, საქართველო) – კონსტიტუცია – სახელმწიფო მართვის ამოსავალი სამართლებრივი საფუძვლები.....	72
დავით მეფარიშვილი (თბილისი, საქართველო) – ERP პროგრამების გამოყენება ბიზნეს პროცესების მართვაში.....	74

სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სამართაშორისო აკადემია
პოლიტიკური მენეჯმენტის სამართაშორისო აკადემია
იურიდიულ მეცნიერებათა სამართაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF SOCIAL-ECONOMIC SCIENCES
INTERNATIONAL ACADEMY OF POLITICAL MANAGEMENT
INTERNATIONAL ACADEMY OF JURIDICAL SCIENCES

МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК

**მეცნიერების, საზოგადოებისა
და სახელმწიფოს პრობლემები**

**XXVII სამართაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის მასალები**

(22.02.2017)

თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2017.

**PROBLEMS OF SCIENCE,
SOCIETY AND THE STATE**

***MATERIALS OF XXVII INTERNATIONAL
SCIENTIFIC CONFERENCE***

(22.02.2017)

Tbilisi: International Publishing House “Progress”, 2017.

**ПРОБЛЕМЫ НАУКИ,
ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА**

***МАТЕРИАЛЫ XXVII МЕЖДУНАРОДНОЙ
НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ***

(22.02.2017)

Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2017.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.02.2017

Authorized for publication 22.02.2017

Подписано в печать 22.02.2017

ნაბეჭდი თაბახი 9,75

Printed Papers 9,75

Печатных листов 9,75

E-mail: alfredkurat@yahoo.com

Tel.: +995 599 29-46-57; +995 577 477-579

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/162012>